

## „კავკასიის“ ინციდენტთან დაკავშირებით სამართალწარმოების შესახებ

„კავკასიის“ ინციდენტი განპირობებული იყო რიგი ფაქტობრივი გარემოებებით და არა იმ რეალობით, რომელსაც განსასჯელთა ქმედება ჰქვია. ტელეკომპანია „კავკასიის“ 7 მაისის გადაცემა „ბარიერში“ სხვასთან ერთად საუბარი იყო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის საქმიანობის ერთგვარ წარმოდგენაზეც, რომელიც მიმდევლი იყო 19 წლის ახალგაზრდა კაცის, ვინმე ირაკლი დეისაძის წიგნის (ბოლიშ გიხდით, მაგრამ წიგნის მკრეხელურ სათაურს ვერ დავასახელებთ) განხილვასთან. ეს წიგნი დაბეჭდა ერთ-ერთმა ცნობადმა, გავლენიანმა და სახელიანმა – ბატონ ბაკურ სულაკაურის – გამომცემლობამ. შემდგომ წიგნის პრეზენტაცია შედგა სახელმწიფო დაწესებულებაში, – ილიას სახელობის უნივერსიტეტში (რექტორი, ბ-ნი გიგი თევზაძე), პრეზენტაციის კადრები დაიღო ინტერნეტ საიტებზე, ამას გარდა ფართო საზოგადოებას ამ წიგნის არსებობა აუწყა და მას პროპაგანდა გაუწია ტელეკომპანია „მზემ“ თავის თინეიჯერულ გადაცემაში „ჩვენი ექსპრეს“ ა.წ. 30 აპრილს 19სთ. და 30 წუთზე – ეს არის დრო წყალგამყოფამდე. ყოველივე ეს გვიჩვენებდა, რომ სახეზე გვქონდა ფართომასშტაბიანი სარეკლამო-საპროპაგანდო საქმიანობა წიგნისა, რომელიც შეურაცხყოფს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიურ გრძნობებს, სიწმინდეებს – ღმერთს, ღმრთისმშობელს, წმინდანებს, შეურაცხყოფს ჩვენს ეროვნულ ღირებულებებსა და ტრადიციებს – ოჯახს, დედა-შვილობას, და-ძმობას, მეგობრობას, აღსავსეა სადიზმითა და ძალადობებით, სიბილწითა და კრიმინალით. საგანგაშო ის არის, რომ ამ წიგნის პრეზენტაცია-პროპაგანდაში ჩართული იყო სახელმწიფო დაწესებულებები, როგორიცაა ილიას სახელობის უნივერსიტეტი, ტელეკომპანია „მზე“, რომელიც ასევე სახელმწიფო კონტროლს ქვეშაა.

7 მაისის „ბარიერის“ გადაცემაში მოწვეული იყვნენ ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის, საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობადი სახეები, ერთის მხრივ სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის დამფუძნებლები – ბ-ნი მალხაზ გულაშვილი, ფურნალისტი და პოლდინგ „ჯორჯიან თამისის“ პრეზიდენტი, ქალბატონი ნანა დევდარიანი, რომელიც არის ყოფილი სახალხო დამცველი და ყოფილი „ცეცხლის“ თავმჯდომარე, ცნობილი ექსპერტი უფლებათადაცვით საკითხებში, და ლევან ჩაჩუა. მეორე მსარეს, ე.წ. ლიბერალუბს წარმოადგენდნენ ილიას სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი და ადმინისტრაციის უფროსი, ბ-ნი სერგო რატიანი, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი, ბ-ნი ბექა მინდიაშვილი, ასევე თეატრალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქ-ნი თეო ხატიაშვილი. გადაცემას უძღვებოდა ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი, ფურნალისტი ნინო ჯანგირაშვილი.

გადაცემა დაიწყო 22 სთ. და 15 წთ-ზე. პირველი სარეკლამო წყვეტა თავის დროზე გამოცხადდა, რაც შეეხება მეორე სარეკლამო წყვეტას, ის დროზე ადრე გამოაცხადა წამყვანმა, ნინო ჯანგირაშვილმა. ამის მიზეზი იყო ე.წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლების მიერ პროვოკაციულად და ობსტრუქციულად გადაცემის დატოვება, რომელსაც წინ უძღვოდა სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მისამართით „ტოლერანტ“ ბექა მინდიაშვილის მიერ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები, რომლის შინაარსი ის იყო, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან ფაშისტები, რომ მათთან სასაუბრო მას არაფერი არა აქვს და მოუწოდა პოლიციას, რომ დაჭირათ ხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მინდიაშვილის ეს უხეში დაატრიბი შეურაცხმყოფელი იყო არა მხოლოდ დასახელებული ორგანიზაციების უამრავი წევრისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რომელიც „ბარიერის“ იმ გადაცემას უყურებდა და უსმენდა.

აღნიშნული განცხადების შემდეგ ბ-ნმა ბექა მინდიაშვილმა და ქ-ნმა თეო ხატიაშვილმა, ოდნავ მოგვიანებით კი ბ-ნმა სერგო რატიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გადაცემა დატოვეს, რასაც მოჰყვა ქალბატონ ნინო ჯანგირაშვილის განცხადება, რომ გარეთ რაღაც ხდება და მოუწოდა პოლიციას, რომ დაუყოვნებლივ მოსულიყო ტელეკომპანიის შენობასთან. ამის შემდეგ მან მეორე სარეკლამო წყვეტა გამოაცხადა, რომელიც 23სთ.15 წთ-დან 23სთ.33წთ-მდე გაგრძელდა. გაჭიანურებული სარეკლამო წყვეტის შემდეგ ქ-ნმა ჯანგირაშვილმა გადაცემის გაგრძელება სცადა, მან განაცხადა, რომ ტელეკომპანიის მიმდებარე ეზოში მოხდა ჩხუბი, რომ მისი ოპერატორები სცემეს და მოუწოდა პოლიციას, რომ დაუყოვნებლივ დაემყარებინა წესრიგი, მაგრამ რეალურად პოლიცია ტელეეთერით მოწოდებიდან საცმაოდ

დაგვიანებით მოვიდა. წინსწრებით აღვნიშნავთ, რომ საქმეში არსებული დოკუმენტის თანახმად პოლიცია ინციდენტის ადგილისკენ გაეშურა არა ღია ეთერში მოწოდებებისა თუ გადაცემის მონაწილეთა (ქ-ნ თეო ხატიაშვილის) მიერ შეტყობინების საფუძველზე, არამედ ანონიმური ზარის საფუძველზე, რომელიც ანონიმურმა პირმა შეასრულა და რომელიც პოლიციის განყოფილებაში მხოლოდ 23სთ და 45 წთ-ზე შევიდა. ეს ის დროა, როდესაც „კავკასიის“ წინამდებარე უზოში ინციდენტი უკვე დამთავრებული იყო.

პოლიციელების ადგილზე მისვლის შემდეგ დაიწყო პირების დაკავება, გაურკვეველი შერჩევითა და წინაპირობებით. სტუდიაში დაკავეს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენელი, ეკლესიის სტიქაროსანი და მედავითნე ავთანდილ ზუბაძე, სასულიერო აკადემიის სტუდენტი, დავით შალამბერიძე და მგალობელი ზვიად ბლიაძე. პოლიციელებმა ასევე დაკავეს ქ-ნ ნინო ჯანგირაშვილის ძმა, ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი და მისი შვილი, „კავკასიის“ ოპერატორი ლუკა ჯანგირაშვილი, რომლებიც აკვასიის თანამშრომლებმა პოლიციელებს ხელიდან გამოსტაცეს და ამ გზით გაანთავისუფლეს. ეს ქმედებები ასახულია „კავკასიის“ საიტზე არსებულ ვიდეომასალაში

[http://tvali.ge/win\\_kavkasiatv.php?v=166044](http://tvali.ge/win_kavkasiatv.php?v=166044), ასევე ინტერნეტით გავრცელებულ სხვა მასალებში.

ამ პირთა დაკავების შემდეგ ისინი გადაიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში. სწორედ ამ შენობისკენ გაემართნენ გადაცემაში მონაწილე სხვა პირები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც აინტერესებდათ დაკავებულ პირთა ბედი. სამმართველოს წინ მყოფ პირთაგან ბ-ნი ლევან ჩაჩუა და რატი მაისურაძე მოწმის სტატუსით შეიცვალეს მთავარი სამმართველოს შენობაში და იქ დაკავეს იმ საბაბით, რომ ისინი არ დამალვონენ მართლმსაჯულებას. ასევე საკუთარი თხოვნის საფუძველზე ჩვენების მიცემის სურვილით მთავარი სამმართველოს შენობაში შევიდნენ პირები, ბ-ნები შოთა აფხაძე და გიორგი გაბედავა, რომლებიც იმავე შენობაში დაკავეს იმავე მოტივით, რომ არ დამალულიყვნენ. 10 მაისს, სკოლის მოსწავლე და ეკლესიის სტიქაროსანი ჯაბა გურჩიანი გამოიძახეს პოლიციის განყოფილებაში. იგი იქ თავისი ნებით გამოცხადდა და ამის შემდეგ იგი დაკავეს იგივე მოტივით. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ გარემოებას, რომ ამ დაკავებულ პირთაგან არც ერთი მიმალვას არ ცდილობდა. მეტიც, მათი უმრავლესობა თავისი ნებით მივიდა პოლიციის სამმართველოს მთავარ სამმართველოსთან და უნდოდა ჩვენების მიცემა. იმასაც აღვნიშნავთ, რომ პოლიციის მთავარი შენობა სწორედ ის შენობაა, რომლის წინაც გასული წლის 6 მაისს მეტად საშიში დაძაბულობა შეიქმნა პროტესტის გამოსახატავად იქ მისულ მოქალაქეებსა და პოლიციელებს შორის, და, თითქოს, დიდი დაპირისპირება და ხელჩართული ბრძოლა გარდაუვალი იყო, და სწორედ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წარმომადგენლები, მათ შორის დღეს დაკავებული პირები, ჩადგნენ პოლიციასა და ხალხს შორის და შეძლეს ამ დიდი დაპირისპირების თავიდან აცილება.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ იმას, რომ 2 თვითი საგამომძიებლო ვადა სრულად არ იქნა გამოყენებული, — ბრალდებამ ორი კვირით ადრე დამთავრა გამოძიება, დაკავებულებს წარედგინათ კონკრეტული ბრალდება, დაკალიფიცირებული საქ სსს 154-ე (ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა) და 239-ე (ხელიგნობა) მუხლების მოთხოვნით. საქმე სასამართლოს გადაუგზავნეს ისე, რომ დაცვის მხარეს წინსწრებით არ გააცნეს მტკიცებულებები და საქმის სხვა მასალები. საქმე გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, საქმეს იხილავს მოსამართლე მილერ ხარებავა, პროკურორები არიან ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო ნაწილის პროკურორები გიორგი მიქაია და დავით ხიზანაძე.

პროცესი დაიწყო 24 ივნისს, თქვენდამი ამ მომართვამდე ჩატარდა 16 სასამართლო სხდომა. საბრალდებო დასკვნით სახელმწიფო ბრალდებას 32 მოწმე ჰყავდა წარმოდგენილი, აქედან 24 შს სხვადასხვა დანაყოფის სხვადასხვა ჩინოსანი პოლიციელი. თითოეული მათგანი წარმოადგენდა დამკავებელსა თუ ამომცნობს, ან ორივეს ერთად. სისხლის სამართლის საქმეში ორი დაზარალებული პირი არის თავიდანვე დაფიქსირებული: ტელეკომპანია „კავკასიის“ პრეზიდენტი, ბატონი დავით აქუბარდია და ამავე ტელეკომპანიის რეჟისორი, ბატონი გიორგი გეგეჭკორი.

სასამართლოს მიმდინარეობამ აჩვენა, რომ სახელმწიფო ბრალდების მიერ წარმოდგენილი მოწმე პოლიციელები იძლეოდნენ ჩვენებებს, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებდნენ, — ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აფიქსირებდნენ იმ ვითარებას და იმ გარემოებას, რომელიც სხვაგვარად

წარმოჩნდება ბრალდების მტკიცებულებით, ანუ იმ ვიზუალური ჩანაწერებით, რომელიც ბრალდებამ წარმოაღვინა – ესაა ტელეკომპანია „კავკასიიდან“ ამოღებული ორი DVD-ზე ჩაწერილი სიუჟეტი, ერთის ხანგრძლივობაა 3 სთ. და 30 წთ., მეორესი – 5 წთ. და 6 წთ.; მესამესი 3წთ და 30წთ. ხოლო მეოთხე, სტუდია „მაესტროს“ სიუჟეტი – 7 წთ. და 20წთ. სასამართლო სხდომაზე ამ ვიდეომასალების ჩვენებამ ნათლად აჩვენა, რომ მოწმე პოლიციელების ჩვენებები ურთიერთწინააღმდეგობრივია, ისინი ეზოში ჩეუბის ფაქტს არც შესწრებიან, ვინაიდან ეს იყო მათ მოსვლამდე, ამასვე ადასტურებს ყველა ის არაპოლიციელი მოწმე, რომელიც ამ ინციდენტს შეესწრო, მათ შორის ტელეკომპანია „კავკასიის“ უკლებლივ ყველა თანამშრომელი და თვით დაზარალებულები, ასევე ყველა ის მოწმე, რომლებიც აშკარად განსასჯელების იდეური მოწინააღმდეგენი, ანუ ე.წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები არიან და მათ განსასჯელების სასარგებლოდ მიკერძოებას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. რაც შეეხება სტუდიაში აღწერილ მოვლენებს, ვიდეომასალა ცალსახად აჩვენებს, რომ სტუდიაში პოლიციელების თანდასწრებით არავითარ ჩეუბსა და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ იმ ფაქტზე, რომ ბრალდებამ მოქალაქის ბინიდან ჩხრეკის საფუძველზე ამოილო განსასჯელის, ავთანდილ ზუმბაძის მიერ გადაღებული ვიდეომასალა, თუმცა ეს მასალა მან არ წარმოადგინა სასამართლოზე ერთი მიზეზის გამო: ამ მასალით ცალსახად ჩანს, რომ განსასჯელების მხრიდან არც ერთი არ ჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. ეს ვიდეომასალა ფართოდაა ცნობილი ინტერნეტით და აღნიშნულ სიუჟეტს ჰქონია „რა მოხდა სინამდვილეში „კავკასიის მიღმა“.

საქმეში ბრალდების მიერ დაზარალებულად წარმოდგენილმა ორმა პირმა, დავით აქუბარდიამ და გიორგი გეგეჭკორმა, ასევე სხვა მოწმებმა, ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორმა და გადაცემა „ბარიერის“ წამყვანმა ქ-ნმა ნინო ჯანგირაშვილმა და იმავე სტუდიის უურნალისტმა ბ-ნმა ელისაშვილმა ცალსახად, მკაფიოდ და დაუინებით აღნიშნეს, რომ განსასჯელთაგან არც ერთს მათვის და არც სხვა პირებისათვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია, არც სტუდიის გარეთ და არც სტუდიაში, მათი მხრიდან არ ყოფილა გინება და ბილწისტყვაობა. სინამდვილეში ზოგიერთი მათვანი სვამდა ისეთ შეკითხვებს ან აკეთებდა ისეთ რეპლიკებს, რომლებიც თავისუფლად ჯდება სიტყვის გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებში. ისინი აღნიშნავენ, რომ, პირიქით, განსასჯელთაგან რამდენიმე პირი მათ ამშვიდებდა და ვითარების განმუხტვისა და გადაცემის გაგრძელებისაკენ მოუწოდებდა. „კავკასიის“ მოწმედ წარმოდგენილმა უკლებლივ ყველა უურნალისტმა ცალსახად და მკაფიოდ აღნიშნა, რომ განსასჯელთაგან არც ერთს მათვის უურნალისტური საქმიანობის განხორციელებისათვის ხელი არ შეუშლია. დამატებით ქ-ნმა ნინო ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ გადაცემა დაძაბული, შესაძლოა სკანდალური, მაგრამ მეტად საინტერესო გამოდგა, და თუ მაინცა და მაინც საუბარია გადაცემის ჩაშლაზე და თუ ვინმე ჩაშლა გადაცემა, ეს თავად მე ვარო, რადგან ავყევი ემოციებს და თავი ვერ შევიკვეო, თუმცა გადაცემა საბოლოოდ მაინც არ ჩაიშალა და, მიუხედავად ინციდენტისა, მაინც გაგრძელდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მან იმ ემოციურ ფონზე, რაც მაშინ იყო, დაუფიქრებლად და უმართებულოდ მიუთითა იმ პირებზე, რომლებიც პოლიციამ დააკავა და რომ ამ დაკავებას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა და რომ მისი მხრიდან ეს მითითება ემოციური და უმართებულო ქმედება იყო. ასევე აღვნიშნავთ, რომ დაზარალებულად წარმოდგენილი პირები, ბ-ნი აქუბარდია და გეგეჭკორი უმართებულოდ მიჩნევენ განსასჯელთა მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, რომ განსასჯელები, რომლებიც სასამართლო დარბაზში არიან წარმოდგენილნი, არ წარმოადგენენ მათი ბრალდების შემადგენელ ნაწილს, მათ მათვის არ მიუყენებიათ არც ფიზიკური და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომ ისინი უდანაშაულონი არიან და მათ მიმართ არავითარი პრეტენზიები არ გააჩნიათ, და ამიტომ ისინი განთავისუფლებული უნდა იყვნენ. დაზარალებულების გარდა იგივე განაცხადა დაზარალებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ბ-ნმა მალხაზ ჯანგირაშვილმა, რომელმაც სასამართლოს მიმართა თხოვნით, რათა გამოძიებულ იქნას საქმე დაზარალებულების მიმართებაში იმ წარმოდგენით, რასაც კანონი ითვალისწინებს, და არა ისე, როგორც ეს საქმე სასამართლოშია წარმოდგენილი.

ახლა რაც შეეხება საქმის წარმოებაში არსებულ დარღვევებს. განსასჯელების: ზუმბაძის, ბლიაძის, შალამბერიძის დაკავების ოქმებში დარღვეულია საქ სსს კოდექსის მრავალი მუხლის მოთხოვნები: 141-ე მუხლი „დაკავების გამოყენების პირობები და მიზნები“, 142-ე – „დაკავების საფუძველი“, 131-ე –

„მტკიცებულებათა შემოწმება“, 132-ე – „მტკიცებულებათა შეფასება“, 145-ე – „დაკავების წესი“, 321, 324, 326, 327, 328-ე მუხლები, რომლებიც შექება პირად ჩხრეკასა და ამოღებას, 287-ე მუხლი - „საგამოძიებო მოქმედების ოქმები“. ასევე თითქმის ყველა განსასჯელის მიმართ დაირღვა ამოცნობის ოქმები, დაკანონების ოქმები, დარღვეულია ამოცნობის პროცედურები, ურთიერთსაწინააღმდეგოდ არის განცხადებული ამოცნობებთან დაკავშირებული წარდგენის პირები, განსასჯელის გეგრდით აყენებდნენ მასთან შედარებით გაცილებით დიდი ასაკის პირებს, მკეთრად განსხვავებული გარეგნობითა თუ ჩაცმულობით. ამოცნობის პერიოდში, წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნისას, განსასჯელებთან იმ დროს მომუშავე ადვოკატები ამა თუ იმ მიზეზით არ იქნენ დაშვებული ამოცნობის პროცედურაზე და ისინი ჩაანაცვლეს სახაზინო წესის ადვოკატებით, რომლებიც დილის 5 სთ-ზე და 6 სთ-ზე მიიყვანეს ამოცნობაზე და შესაბამისად, არ დაფიქსირდა მრავალი დარღვევა, რაც ამ პროცედურებს თან ახლდა. აღნიშნულთან დაკავშირებით განსასჯელთა პროტესტებია დაფიქსირებული, – ისინი ითხოვდნენ თავიანთ ადვოკატებს, რომლებიც მათი ნდობით სარგებლობდნენ, თუმცა მათი კანონიერი მოთხოვნები არ იქნა დაკამაყოფილებული.

აღნიშნული დარღვევების გამო დაცვის მხარემ სასამართლო სხდომაზე დააყენა შუამდგომლობები რიგი დოკუმენტების მტკიცებულების არ ცნობასთან დაკავშირებით. დაცვის მხარე მთელი 4 საათის განმავლობაში ასაბუთებდა სამართლებრივად აღნიშნული დარღვევების არსებობას კოდექსის კონკრეტული მუხლების მითითებით, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა არგუმენტირებული მტკიცებულების წარდგენის შუამდგომლობები პროკურატურის მხრიდან მხოლოდ ხუთწუთიანი არაადექვატური პასუხის საფუძველზე, რომელშიც არ იყო არც ერთი დასაბუთებულობა მტკიცებასთან მიმართებაში, არამედ იყო მხოლოდ განცხადება, რომ არ ეთანხმებიან შუამდგომლობებს. საინტერესო ის იყო, რომ მოსამართლემ, ბ-ნმა მიღერ ხარებავამ თავადვე დაადასტურა ხსენებული დარღვევების არსებობა და იმ მუხლებზეც მიუთითა, რომელთა მოთხოვნებიც იყო დარღვეული, თუმცა ყველაფერი ერთი ხელის მოსმით, ბიუტუმად, არარსებითად მიიჩნია და უარი უთხრა დაცვის მხარეს მისი შუამდგომლობების დაკამაყოფილებაზე.

ამგვარად, სასამართლო პროცესმა თვალნათლივ აჩვენა, რომ სახელმწიფო ბრალდებას ჰქონდა დაუსაბუთებელი, უმოტიგაციო, უმართლო ბრალით წარმოდგენილი საქმე, რომლის ერთადერთი მოწადინებაა საქართველოში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ლირებულებების დამცავი პირებისა და მათი თანამოაზრების დაშინება იმ ქმედებისთვის, რომელიც მათი ცხოვრების წესია და რომელიც არაფერს კანონსაწინააღმდეგოს არ შეიცავს. ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას ის გარემოებაც გვაძლევს, რომ სასამართლოზე ცალსახად და მიკერძოებით მიეცათ საშუალება დაფიქსირებულიყო მხოლოდ და მხოლოდ ეწ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენელთა განცხადებები, რომ განსასჯელები არიან ფაშისტები და „პოგრომშიკები“, ხოლო როდესაც ამის საპირისპიროდ დაცვის მხრიდან ცხადდებოდა, რომ ეს ესე არ არის და როდესაც საუბარი იწყებოდა ეწ. ლიბერალების მორალურ სახესა და მათ ქმედებებზე, მოსამართლე მიღერ ხარებავა აწყვეტინებდა მთქმელს სიტყვას და მკაცრადაც აფრთხილებდა. თუმცა დაცვის შუამდგომლობით სასამართლო პროცესზე ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „რისთვის ებრძვიან მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ (რომელსაც ამ წერილს თან ვურთავთ), რომელიც ნათელყოფს, რომ ის იდეები, ის წარმოდგენები, ისტორიული მრწამსისა და ფესვებისადმი ერთგულება და მათი დაცვა არ არის კანონდასჯადი ქმედება და რომ ეს არის გადარჩენისა და ერის ერთობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

გამოკვეთილად გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტის შესახებ. სასამართლო პროცესის პირველ სხდომაზე დაცვის მხარემ დააყენა საკითხი განსასჯელთა თავდებით განთავისუფლების შესახებ. იმ დროს განსასჯელებს თავდებში უდგებოდა პარლამენტის რამდენიმე წევრი, სხვა საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის ეს შუამდგომლობა ბრალდების მიერ წარმოდგენილი იმ მოტივით, რომ თავდებით განთავისუფლებულ განსასჯელებს შეეძლოთ ზემოქმედების მოხდენა მოწმებზე. ამიტომ, მას შემდეგ, რაც დაიკითხა ყველა მოწმე და გამოირიცხა მათზე ზემოქმედება, მას შემდეგ, რაც დაზარალებულებმა აღნიშნეს, რომ მათ არავითარი პრეტენზიები არა აქვთ განსასჯელებთან, დაცვის მხარემ კვლავ დააყენა სასამართლოს წინაშე საკითხი განსასჯელთა თავდებით განთავისუფლების შესახებ. ამჯერად, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ადრე დაუდგნენ თავდებში

განსასჯელებს, თავდების წერილები სასამართლოში გამოგზავნეს კიდევ რამდენიმე პარლამენტარმა, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, და რაც მთავარია, საქართველოს პატრიარქის წარმომადგენელმა, საპატრიარქოს ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ, ასევე ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, მეუფე დიმიტრიმ. ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა, როდესაც ამდენი და ასეთი მაღალი სასულიერო თუ საქონი ხარისხისა თუ ცენტის ქვეყნის მქონე პირი თავდებში უდგება ახალგაზრდებს, რომელთაგან ერთი სამი შვილის მამა და მეოთხეს ელოდება, არიან ეკლესიის მსახურნი, სტიქაროსნები, მედავითნები, მგალობლები, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, არც ერთი ადრე ნასამართლევი არ არის, არიან ოჯახის შვილები, ენდობა მათ და პასუხისმგებლობას იღებთ მათ ქმედებაზე, და სასამართლო მაინც არ ითვალისწინებს მათ თხოვნას და ყოვლად უმოტივაციოდ და დაუსაბუთებლად უარს უებნება დაცას ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ სასამართლოზე ხდება არა დამნაშავის გამოვლენა, არამედ უდანაშაულო ადამიანების სამაგალითოდ დასჯა მათი მრწამსის გამო, მათ და სხვათა შესაშინებლად. სწორედ ასე აღიქვამს ამ საქმეს, ამ სასამართლოს საზოგადოების ფართო წრები, რომლებმაც ათიათასობით ხელმოწერით დაადასტურეს განსასჯელების გვერდით დგომა და მათი განთავისუფლების მოთხოვნა.

ქართული საზოგადოებისთვის გაუგებარი, მიუღებელია და მისი ღირსების შემძლახავია სამართალდამცავების ისეთი მიღვომა, როდესაც სახელმწიფო ბრალდება და სასამართლო ერთ-ერთ განსასჯელს, ზვიად ბლიაძეს, რომელსაც მისი დაპატიმრების პირველ დღეებში სწორედ მისი დაპატიმრების გამო ნერვიული შეტევით გარდაეცვალა მამა, უარს უებნება პანაშვიდზე და მამის დაკრძალვაზე დასასწრებად ბადრაგის თანხლებით გადაყვანაზე. უახლოესი ოჯახის წევრის დაკრძალვაზე პატიმრის დასწრების შესაძლებლობა დაშვებულია კანონით და მისი უგულებელყოფა მოსამართლის მიერ ნათლად აჩვენებს არა მხოლოდ არაპუნურობას, არამედ არასამართლებრივ მიღვომებსა და აშკარა ტენდენციურობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევკიური ხელისუფლების შემდეგ საქართველოში არა გვყოლია სარწმუნოებისთვის დაპატიმრებულები, და ახლა, როდესაც საქართველო აცხადებს, რომ დემოკრატიული შენებლობის გზას შეუდგა და თითქოს ამ გზაზე მას მხარში უდგანან აშშ-სა და სხვა, დემოკრატიის შუქურად ცნობილი სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომლებიც, თითქოს, ქმედით მონაწილეობას ღებულობენ დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების საქმეში, სწორედ ახლა გაჩნდა საქართველოში მართლმადიდებლობისათვის და ეროვნული ღირსების დაცვისათვის დაპატიმრებული რვა ახალგაზრდა. საქართველოს საზოგადოებრიობა სწორედ ამ რაკურსით აღიქვამს და ამ ტკივილით რეაგირებს ახალგაზრდების დაპატიმრების ფაქტზე. საქართველოში, რომელშიც ზემოთ დასახელებული ქვეყნების დიპლომატიური თუ არადიპლომატიური წარმომადგენლობები აცხადებენ, რომ ხელს უწყობენ დაამკიდროთ დემოკრატიული ღირებულებები, რომლის საწყისია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, დემოკრატიის გავება დამახინჯებულ სახეს ღებულობს, რადგან სიტყვის გამოხატვისა და თავისუფლების უფლება პრივატულად მინიჭებული აქვს მხოლოდ ერთ, ე.წ. ღიბერალური ფრთის წარმომადგენლებს, რომელთა რიცხვი საქართველოში მცირეა, მაშინ როდესაც ტრადიციული ღირებულებებისა და ზნეობრიობის დაცვის მოშერებს, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, ეკრძალებათ სიტყვის გამოხატვა ამა თუ იმ მათვის მიუღებელი იდეოლოგიის წინააღმდეგ და თუ მათ მაინც გამოხატეს თავისი ასეთი აზრი, მათ მაშინვე მიაკერებენ ფაშისტებისა და ექსტრემისტების იარლიკს და მოუწოდებენ სამართალდამცავებს, დააპატიმრონ ისინი.

ტენდენციურობა იმაშიც გამოიხატება, რომ სახელმწიფო და სხვა კონტროლირებადი ტელევიზიები არ აშუქებენ სასამართლო პროცესს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს, თუმცა პრივატული ძალისხმევით მაინც მოხერხდა ტელეეთერში გასვლა, რომლის დროსაც განსასჯელთა ადვოკატები ესაუბრენ საზოგადოებას საქმის მიმდინარეობის შესახებ.

როდესაც საქართველოში იღახება მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიური გრძნობები და ეროვნული ფასულობები, ამას საზოგადოება მტკივნეულად განიცდის. ჩვენი მომთმენი მენტალიტეტის გამო პროტესტი ისეთი მძაფრი არ არის ხოლმე, როგორც ეს თუნდაც ზემოთდასახელებულ

დემოკრატიულად ცნობილ ქვეყნებში გვინახავს. მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ჩვენ ვშიშობთ, რომ ისეთ განუკითხაობას, ცალმხრივობასა და ტენდენციურობას, რასაც საქართველოში აქვს ადგილი, შეიძლება სერიოზული დაპირისპირება მოყვეს, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია ჩვენ, ჩვენს ორგანიზაციასა და, საზოგადოდ, ეკლესიას.

ბრალდებამ რვავე განსასჯელისთვის 5 წელი მოითხოვა, ამასთან – მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებიც არიან დამკავებლები და მომცნობები და, ამდენად, სუბიექტურები და მიკერძოებულები. ბრალდება სასამართლოს თხოვს, რომ არ გაითვალისწინოს მის მიერვე საქმეში წამოდგენილი სხვა მოწმეების ჩვენებები, მათ შორის დაზარალებულად ცნობილი პირების, ბატონების, აქებარდიასა და გეგეჭკორის სასამართლოზე მიცემული ჩვენებები, ასევე, ერთ-ერთი მთავარი მოწმის, ქ-ნი ნინო ჯანგირაშვილის სასამართლოზე მიცემული ჩვენება. საბრალდებო დასაბუთებაში გვხვდება ასევე ჩვენებების დამახინჯება და გაყალბება, რასაც ხელს უწყობს სასამართლოს მიერ დაცვის მიერ დაყენებულ აუდიო და ვიდეო ჩაწერის შუამდგომლობაზე უარის თქმა. საგანგებოდ უნდა იღინიშნოს იმ სამართლებრივი ნონსენსის შესახებ, რომ ბრალდების ერთ-ერთი მუხლი შეეხება ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, მაშინ, როდესაც ქ-ნი ნინო ჯანგირაშვილი, რომელიც ახორციელებდა 7 მაისის ბარიერში ჟურნალისტურ საქმიანობას, ბრალდების მიერ დაზარალებულად არ არის წარმოდეგენილი საქმეში. ია, ასეთ შეთითხნილ საქმესთანა გვაქვს საქმე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოსამართლე მილერ სარებავამ რვავე განსასჯელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, თითოეულს – 4 წელი და 6 თვე.

ზემოთქმულიდან სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: „კავკასიის“ სდაქმის სახით საქამე გვაქვს არა იმ დანაშაულთან, რაც წარმოდეგენილი იყო საქმეში, არამედ მართლმადიდებლობისთვის და ლირსების დაცვისთვის პირების დასჯასთან, მათი და, საზოგადოდ, მართლმადიდებელთა დაშინების მიზნით. ამგვარად, სახეზეა საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის ფაქტი, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი რეაქცია მოყვება.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი